1)

რომელია ის ფიგურა, რომლის 3 წახნაგი არის ოთხკუთხედი, ხოლო 2 წახნაგი – სამკუთხედი? შემოხაზე.



ა) ბ) გ) დ)

2)

მოცემული ცხრილის რომელი სტრიქონია სწორად შევსებული მრავალწახნაგისათვის?

№	წვერო	წიბო	წახნაგი
I	8	6	12
II	12	6	8
III	12	8	6
IV	8	12	6

ა) I ბ) II გ) III დ) IV

LIVEWORKSHEETS

3)

ორი წრეწირი შიგნიდან ეხება ერთმანეთს. დიდი წრეწირის რადიუსი 28 სანტიმეტრია, ცენტრებს შორის მანძილი – 18 სანტიმეტრი. ააგე ნახაზი და იპოვე მცირე წრეწირის რადიუსი.

ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი:_____

4)

მეცნიერებმა აღმოაჩინეს მცენარის ახალი სახეობა. იმისათვის, რომ შეისწავლონ მცენარე მათ უნდა

ა) მოიძიონ ინფორმაცია ინტერნეტში ამ მცენარის შესახებ

ბ) მოახდინონ დაკვირვება მცენარეზე

გ) ჩაატარონ გამოკითხვა

დ) მოიძიონ ინფორმაცია ამ მცენარის შესახებ ცნობარებში

5)

რიცხვი 2,71935 დაამრგვალე მეასედის სიზუსტით.

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში: ☐

LIVEWORKSHEETS

6)

ABC სამკუთხედი ღერძულად სიმეტრიულია MKN სამკუთხედის.



რომელი სამკუთხედის ფართობია მეტი?

ა) მეტია ABC სამკუთხედის ფართობი;

ბ) მეტია MNK სამკუთხედის ფართობი;

გ) სამკუთხედების ფართობები ტოლია;

დ) დადგენა შეუძლებელია.

LIVEWORKSHEETS

7)

ექსკურსიაზე წაიყვანეს სკოლის 94 მოსწავლე. ისინი გაანაწილეს სამგზავრო მიკროავტობუსებში, რომლებშიც ეტევა 12 მოსწავლე და ამასთან თითოეული მიკროავტობუსი მთლიანად უნდა შევსებულიყო. დარჩენილი მოსწავლეები გაემგზავრებოდნენ მსუბუქი მანქანებით. სულ მცირე რამდენი მიკროავტობუსი და რამდენი მსუბუქი მანქანაა საჭირო, თუ ერთ მსუბუქ მანქანაში ეტევა 4 მოსწავლე.

ამოხსნა ჩაწერე აქ:

პასუხი:_____

8)

ამოცანის ამოსახსნელად შედგენილია განტოლება: $2\boldsymbol{x} + 3(\boldsymbol{x} - 5) = 25$. რა რიცხვით უნდა შეიცვალოს 25, რომ განტოლების ამონახსნი ორით გაიზარდოს?

ა) 27; ბ) 30; გ) 35; დ) 37.

LIVEWORKSHEETS

9)

ოთხი მეგობრიდან ერთის სიმაღლეა 1,15 მ, მეორის –1,4 მ, მესამის - 1,09 მ, მეოთხისა კი – 1,38 მ. თითოეული მათგანის სურათს დააწერე შესაბამისი სიმაღლე.



10)

ჩაწერე რიცხვები ათწილადის სახით და შეავსე ცხრილი:

წილადი	ათწილადი
$\frac{3075}{100}$	
$\frac{3}{4}$	

11)

ჩაწერე უკვეცი წილადის სახით: $\frac{81}{909} =$

12)

რომელი უტოლობაა მცდარი?

ა) $\frac{1}{6} > \frac{1}{7}$ ბ) $0,5 > \frac{4}{9}$ გ) $\frac{20}{23} > \frac{23}{24}$ დ) $0,1 < \frac{1}{9}$

LIVEWORKSHEETS

13)

რომელი წერტილი შეიძლება შეესაბამებოდეს რიცხვს 3,8 რიცხვით სხივზე?



ა) A ბ) B გ) C დ) D

14)

რიცხვში 10, 7<u>8</u>06 ხაზგასმული ციფრი აღნიშნავს:

ა) 8 ათეულს ბ) 8 ასეულს გ) 8 მეასედს დ) 8 მეათედს

15)

$16\frac{1}{8} : \square = 8\frac{1}{16}$

რა რიცხვი უნდა ეწეროს ცარიელ უჯრაში?

ა) 2 ბ) $\frac{1}{2}$ გ) $2\frac{1}{2}$ დ) $128\frac{1}{128}$

16)

გაამარტივე გამოსახულება: $0{,}2xy + 3x + 1{,}8xy$

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

17)

LIVEWORKSHEETS

ტყეში ხეების $\frac{1}{5}$ ნაწილი წიწვოვანია, წიწვოვანი ხეების 0,7 ნაწილი ნაძვია. ტყის რა ნაწილს შეადგენს ნაძვის ხეები?

ა) $\frac{2}{7}$ ბ) $\frac{14}{25}$ გ) $\frac{7}{50}$ დ) 0,9

LIVEWORKSHEETS

18)

იყენებს რაციონალური რიცხვის ჩაწერის ეკვივალენტურ ფორმებს და არითმეტიკულ მოქმედებათა თვისებებს გამოთვლების გასამარტივებლად

რის ტოლია $3\frac{1}{6} + 1{,}3 + 1\frac{5}{6}$ გამოსახულების მნიშვნელობა?

ა) 6,3 ბ) 5,3 გ) $6\frac{1}{2}$ დ) $6\frac{3}{30}$

19)

ჭიქაში ასხია 230 დმ³ მოცულობის წყალი. რამდენი სმ³ წყალი ასხია ჭიქაში?

ა) 23 სმ³ ბ) 2 300 სმ³ გ)23 000 სმ³ დ) 230 000 სმ³

LIVEWORKSHEETS

20)

ცხრილში მოცემულია ერთმანეთზე დამოკიდებული ორი სიდიდის სხვადასხვა მნიშვნელობები:

x	y
3	13
4	17
5	21
6	25

რომელი ტოლობა გვიჩვენებს ამ დამოკიდებულებას?

ა) $y = 3x + 4$ ბ) $y = 5x - 3$ გ) $y = x \cdot x + 15$ დ) $y = 4x + 1$

21)

მოცემულია ცხრილი:

a	2
b	4
5a + 4b	

ჩამოთვლილთაგან რომელი რიცხვი უნდა ეწეროს ცხრილის ცარიელ უჯრაში?

ა) 72 ბ)28 გ) 26 დ) 9

LIVEWORKSHEETS

22)

მარილწყალში მარილისა და წყლის მასები ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც 1:4. რამდენ გრამ მარილს და რამდენ გრამ წყალს შეიცავს 10,5 გრამი ასეთი მარილწყალი?

ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი:_____

23)

ლალი წიგნების თაროდან, რომლის სიმაღლე 1,8 მეტრს არ აღემატება იღებს წიგნს. იმისათვის, რომ ლალიმ აიღოს წიგნი 2,5 მერტის სიმაღლის თაროდან შედგა სკამზე , რომლის სიმაღლე 0,5 მეტრია, მაგრამ წიგნს ვერ მისწვდა. დაწერე შესაბამისი ტოლობა (ტოლობები) და გამოთვალე მინიმუმ რამდენი მეტრით მაღალი სკამი სჭირდება ლალის?

ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი:_____

663CR31XX

პასუხი: 0,2 მ-ით.

LIVEWORKSHEETS

24)

პარალელური გადატანით D წერტილი გადადის S წერტილში. იმავე პარალელური გადატანით რომელ ოთხკუთხედში გადავა ABCD ოთხკუთხედი?



ა) MNKL ბ) ESFL გ) QNPS დ) MQSE

LIVEWORKSHEETS

25)

რამდენი სიმეტრიის ღერძი აქვს ნახაზზე ნაჩვენებ ფიგურას?



ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

26)

როგორ შეიცვლება მართკუთხა ობიექტის ფართობი, თუ მის სიგრძეს გავზრდით 6–ჯერ, ხოლო სიგანეს შევამცირებთ 2–ჯერ?

ა) შემცირდება 2 – ჯერ

ბ) გაიზრდება 3–ჯერ

გ) გაიზრდება 6–ჯერ

დ) გაიზრდება 12 –ჯერ

LIVEWORKSHEETS

27)

იპოვე ფიგურის გაფერადებული ნაწილის ფართობი, თუ ყოველი კვადრატის ფართობი 1სმ²–ია.



ა) 30 სმ² ბ) 26 სმ² გ) 24 სმ² დ) 18 სმ²

28)

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადებაა მცდარი?

ა) რიცხვითი მონაცემების საშუალო არ აღემატება უდიდეს მონაცემს

ბ) რიცხვითი მონაცემების საშუალო მეტია ამ მონაცემებიდან თითოეულზე

გ) რიცხვითი მონაცემების საშუალო არ არის ნაკლები უმცირეს მონაცემზე

დ) რიცხვითი მონაცემების საშუალო არ აღემატება ამ მონაცემებიდან ზოგიერთს

LIVEWORKSHEETS

29)

ცხრილში ნაჩვენებია საქართველოს ზოგიერთ რეგიონში მშენებლობაზე დაქირავებულ მოქალაქეთა რაოდენობა წლების მიხედვით:

მშენებლობაზეი დაქირავებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

წელი	**გურია**	**იმერეთი**	**კახეთი**	**მცხეთა-მთიანეთი**
2008	578	3173	941	661
2009	177	2782	1834	1001
2010	302	2059	1616	621
2011	616	3571	1627	619
2012	1130	4932	2913	838
2013	724	3695	2361	1240

ცხრილის მიხედვით რომელი დებულებაა სწორი?

ა) გურიაში მშენებლობაში დაქირავებულთა რაოდენობა ყოველწელიწადს აღემატებოდა მცხეთა–მთიანეთში მშენებლობაში დაქირავებულთა რაოდენობას
ბ) ყოველ წელიწადს მშენებლობაში დაქირავებულთა რაოდენობა ყველაზე მეტი იყო იმერეთის რეგიონში
გ) 2008 წელს იმერეთის რეგიონში მშენებლობაში დაქირავებულთა რაოდენობა იმდენი იყო, რაც კახეთისა და მცხეთა – მთიანეთის რეგიონში ერთად
დ) 2013 წელს მშენებლობაში დაქირავებულთა რაოდენობა ყველაზე მეტი იყო კახეთის რეგიონში

LIVEWORKSHEETS

30)

მაქსიმუმ რამდენი სამნიშნა რიცხვის შედგენა შეიძლება ციფრებისაგან: 7 და 0 ?

ა) 3 ბ) 4 გ) 5 დ) 6

31)

მოცემულია მართებული დებულება: „6-ზე იყოფა ყველა ის ლუწი რიცხვი, რომლის ციფრთა ჯამი იყოფა 3–ზე“.

მოცემული ზოგადი დებულების მიხედვით რომელი კერძო შემთხვევაა სამართლიანი?

ა) 12345 იყოფა 6–ზე, რადგან 1+2+3+4+5=15

ბ) 12346 იყოფა 6–ზე, რადგან 6–ით ბოლოვდება

გ) 12354 იყოფა 6–ზე, რადგან ეს რიცხვი ლუწია და 1+2+3+5+4=15

დ) 12332 იყოფა 6–ზე რადგან ეს რიცხვი ლუწია

32)

40 მოსწავლიდან 15 მოსწავლისთვის წელიწადის საყვარელი დრო შემოდგომაა, 5-თვის – ზამთარი, 10-თვის – გაზაფხული, 10-თვის – ზაფხული. რამდენჯერ ნაკლებია ამ მონაცემების შესაბამისი წრიული დიაგრამის ზამთრის სექტორის გრადუსული ზომა შემოდგომის სექტორის გრადუსულ ზომაზე? შემოხაზე სწორი პასუხი.

ა) 4 -ჯერ ბ) 2 -ჯერ გ) 3 -ჯერ დ) 5 -ჯერ

LIVEWORKSHEETS